ცნობა

გელა დუმბაძე დაიბადა 1965 წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში.

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1999-2001 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში.

1987-1989 წლებში ჩამოაყალიბა და იყო ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარე.

1989-1996 წლებში ჩამოაყალიბა და იყო საბავშვო ესთეტიკურ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება.

1998-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2001-2005 წლებში იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი.

2005-2007 წლებში მუშაობა განაგრძო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსად.

2007 წლიდან 2014 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა ქვეყნის საქართველოს საელჩოებში.

2014 წლის 2 ივნისიდან 2014 წლის 22 ივლისამდე იყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

2014 წლის 22 ივლისს დაინიშნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.